

გრიგოლ რობაქიძე. წერილები სტეფან ცვაიგს

ავტორი: ნათია ფურცელაძე

1928 წელს გერმანიაში, იენაში, დიდერიხსის გამომცემლობაში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ სტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით. რომანის თარგმნისა და გამოცემის შესახებ დანერგულმა მიმოწერამ საფუძველი ჩაუყარა ამ ორი მწერლის მეგობრობას.

გრიგოლ რობაქიძის შვეიცარიული არქივი დაკარგულად არის მიჩნეული, შესაბამისად, არ მოგვეპოვება სტეფან ცვაიგის ქართული მწერლისადმი მიწერილი წერილები. საბედნიეროდ, გრიგოლ რობაქიძის ეპისტოლური მემკვიდრეობა (ავსტრიელი შემოქმედისადმი გაგზავნილი წერილები) დაცული აღმოჩნდა ამერიკაში, ნიუ-იორკში, ფრედონიის უნივერსიტეტის დანიელ რიდის ბიბლიოთეკაში, სტეფან ცვაიგის არქივში.

გრიგოლ რობაქიძის სტეფან ცვაიგისადმი მიწერილი წერილები ითარგმნა და გამოიცა პირველად. ამ კრებულით მკითხველს საშუალება ეძლევა, ქართულ ენაზე გაეცნოს მათ. ეს წერილები ბევრ, აქამდე უცნობ ინფორმაციას იტევს და კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილია.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე წერილს წიგნიდან.



გრიგოლ
რობაქიძე

წერილები
სტეფან
ცვაიგს



25.3.1927.

ღრმად პატივცემულო ბატონო!

გიგზავნით ჩემი რომანის – „გველის პერანგის“ გერმანული თარგმანის წინასიტყვაობას, რათა მისი საშუალებით დაახლოებით შეძლოთ წარმოდგენა ნაწარმოების ხასიათისა. ბუნებრივია, ის არ შეიცავს იმ ძარღვს, რომელიც „ამოკისა“ და „გრძნობათა შფოთვის“ ავტორის მახასიათებელია, მასთან სულ მცირე „წვრილმანიც“ კი უჩინარი ძაფით იხვევა ისე, რომ ეს წვრილმანი თანდათანობით სამუშაოდ იქცევა და ძაფი – ლასოდ, რომელიც გადმოტყორცნილია სამუშაოს მიერ, არ შეიცავს იმ დინამიკას, რომელშიც ზუსტად არ იცის, სამუშაო გლეჯს ლასოს თუ ლასო აცლის სამუშაოს თავს, ან ორივე, ერთმანეთს გადახლართული, მკვდარივით გაქვავდება...

მაგრამ მე მჯერა, ჩემს რომანში თქვენ შენიშნავთ სულიერ ლანდშაფტებს, რომლებიც ისე ჩანს, თითქოს არიან მსგავსნი და მშვიდნი, თუმცა შორიდან „უჩინარნი“, წარმოდგენას გვიქმნიან ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე...

ჩემი თხოვნაა, მაჩუქოთ ერთი დღე ან საღამო (სწორედაც რომ „მაჩუქოთ“), რათა ჩემი ნაწარმოები წაიკითხოთ – და ამასთან: შეფასებისას იყოთ განსაკუთრებით მკაცრი – (იმედი მაქვს ლიტერატურული ეროსის, რომელიც თქვენში ასე უხვადაა). შეწყნარება სჭირდება მხოლოდ „ადამიანს“, მაგრამ არა – „შემოქმედს“. პოეტური სიტყვა – ესაა მაგიური ტონი, რომელიც პირდაპირ ღმერთს მიემართება (ეს ჩემთვის არაა მეტაფორა). ამიტომ საჭიროა, აიტანო ცეცხლის გამწმენდი ძალა... და თუ ჩემი რომანი თქვენი შეფასებისას ცეცხლის ამ ძალას გაუძლებს, მინდა გთხოვოთ რამდენიმე სიტყვის დაწერა, რომელიც ძალიან მჭირდება ევროპელი მკითხველისთვის... საქმე ეხება არა პოეტის ლიტერატურულ სახელს, არამედ ერთი პატარა აღმოსავლური ერის სულიერი მდგომარეობის გაცნობას ევროპელი ხალხებისათვის.

ლიტერატურული საქართველო ევროპაში სამოგზაუროდ როცა მაცილებდა, ერთი პოეტის შეკითხვაზე, უპირველეს ყოვლისა, ვის მივმართავდი, სხვა პოეტმა, ჩემმა შემოქმედებითმა ძმამ, ინტუიციური გულით ნათელმხილველივით, დაუყოვნებლივ წარმოთქვა: ბუნებრივია, სტეფან ცვაიგს! ეს იყო ჩემი პასუხიც.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დამეთანხმებით და ზალცბურგში ჩამოსვლის ნებას დამრთავთ, შევძლებ თქვენი პირადად გაცნობის ბედნიერებით დავტკბე.

15.9.1927

საყვარელო ბატონო ცვაიგ,

პირველ სექტემბერს შემზარავი ამბავი შევიტყვე: ჩემი მეგობარი, პოეტი მაყაშვილი გარდაიცვალა. ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო. ჩემს უკანასკნელ წერილში მის სიკვდილზე სიტყვა არ მითქვამს, ის წერილი უამისოდაც მძიმე იყო. გუშინ თქვენგან ორი წერილი მივიღე (ერთი – ბატონი როზენკრანცისთვის). ამ წერილებმა დიდი სიხარული მომანიჭა. როგორ შემიძლია თქვენდამი ჩემი გულითადი და პოეტური მაღლიერება გამოვხატო?! ახლა დიდ

ნაწარმოებს ვწერ: მას თქვენ გიძღვნი – პოეტს, ესსეისტს, ადამიანს. სხვაგვარად ჩემი მაღლიერების გამოხატვა არ შემიძლია.

ბატონი როზენკრანცი დღეს ვნახე. მან ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ვიმედოვნებ, ის დიდ დახმარებას გამიწევს. თქვენი სიტყვა მისთვის ესთეტიკური კანონია.

ძალიან მახარებს, რომ ამჟამად მუშაობთ ვრცელ ესსეზე ტოლსტოის შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ იგი ისეთივე გენიალური იქნება, როგორც თქვენი ესსე დოსტოევსკიზე. ტოლსტოი და დოსტოევსკი განიხილეთ არა მხოლოდ „წმინდა ლიტერატურულად“ (თითქმის ყველა საუბრობს მარტოოდენ მათს ცხოვრებისეულ ფილოსოფიაზე), არამედ უპირველესად თქვენ დაიწყეთ, თქვენ შეხედეთ ამ ავტორებს ლიტერატურულად (მაგ., რომანის არქიტექტონიკა დოსტოევსკისთან). მოუთმენლად ველი ამ ესსეს ხილვას.

ასევე, ძალიან მახარებს, რომ ზამთარში რუსეთში გამგზავრება გსურთ. იმედი მაქვს, მოახერხებთ ჩემი სამშობლოს მონახულებას. თუ ვერ შეძლებთ – ეს ძლიერ დამტანჯავს. მსურს კიდევ აქვე თქვენი მოგზაურობის გეგმის მონახაზი წარმოგიდგინოთ. მოსკოვიდან ვლადიკავკაზამდე რკინიგზით იმგზავრებთ (დაახლოებით 40 საათს). ვლადიკავკაზში მე დაგხვდებით. აქედან ცნობილი სამხედრო გზის გავლით თბილისამდე მანქანით ვიმგზავრებთ (8 საათს). თქვენ ნახავთ ბუნების ნამდვილ საოცრებას – საქართველოს მთებს, რომლებიც თავიანთი მცხოვრებლებით „რომანტიზმზე“ გაცილებით მეტს ამბობენ, ვიდრე – მთელი ფრანგული ლიტერატურა. შემდეგ – თბილისში თქვენი ყოფნის პროგრამა: 1 დღე – წარმოდგენა დრამატულ თეატრში (ჩემი დრამა). თქვენ სცენაზე ნახავთ არა მხოლოდ „ფსიქოლოგიას“, არამედ „ბიოლოგიას“ ქართველისა. 2 დღე – თეატრალური წარმოდგენა ოპერის თეატრში (ქართული ორიგინალური მუსიკა). 3 დღე – ქართველ მწერალთა კავშირის ღია სხდომა (მე ვარ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი; პრეზიდენტი კომუნისტი უნდა (?) იყოს). მე აქ მოხსენებას წავკითხავ: „სტეფან ცვაიგი – პოეტი – ესსეისტი“. წავკითხავ რამდენიმე ნაწყვეტს „იერემიადან“ (ზაფხულში ეს მონაკვეთები ქართულად ვთარგმნე. აქვე შევნიშნავ: „ამოკი“ უკვე თარგმნილია). 4 დღე – ცნობილი ქართული ლხინი. იქ იქნებიან ჯიშიანი კაცები და მომაჯადოებელი ქალები. თქვენ ნახავთ ჩვენს ცეკვას, მოისმენთ სიმღერებსა და ლექსებს – ერთი სიტყვით: გპირდებით, ღმერთი დიონისო გაცოცხლდება. შემდეგ: ჩვენი კათედრალეები, ჩვენი ფრესკული მხატვრობა, ჩვენი მუზეუმები, ჩვენი უნივერსიტეტი, ჩვენი არქიტექტურა და უპირველეს ყოვლისა – ჩემი ძმები და მეგობრები – პოეტები... ეს გახლავთ ჩემი პროგრამა თქვენთვის. მე ვფიქრობ, „მიზნის ჰეტერონომია“ გამრავალფეროვნდება. ჩემი მისამართი:

თბილისი. საქართველო. ს. ს. რ. კ.

გურამიშვილის ქ. 10

27.9.1927.

საყვარელო ბატონო ცვაიგ!

ოიგენ დიდერიხსის გამომცემლობასთან ხელშეკრულება გავაფორმე. ეს მოხდა უეცრად, მოულოდნელად და სწრაფად. ბატონმა ფონ ვეზენდონკმა, ყოფილმა კონსულმა საქართველოში, დიდერიხსის გამომცემლობასთან მოლაპარაკება გამართა. არ მეგონა, ეს გამომცემლობა ჩემს რომანს თუ მიიღებდა და მოლაპარაკება უყურადღებოდ დავტოვე. გამომცემლობის წერილმა გამაოცა. ბატონი როზენკრანცი გაემგზავრა (საქორწინო მოგზაურობაში). ამასთან – მან მითხრა: მას შემდეგ, რაც ბატონმა სტეფან ცვაიგმა თქვენს რომანზე აზრი გამოთქვა, ბუნებრივია, არ შემიძლია იგი მხატვრულად შევაფასო – მაგრამ ტექნიკურ-საგამომცემლო დონეზე იგი უნდა შემოწმდეს (ორმა რედაქტორმა უნდა წაიკითხოს)... ამგვარად: გაურკვევლობის წინაშე ვიდექი..... მიუხედავად ამისა, არ მინდოდა თქვენი თანხმობის გარეშე ხელშეკრულებაზე ხელი მომეწერა. კურიერის მეშვეობით მოგწერეთ. იენაში ველოდი თქვენს პასუხს. მაგრამ არაფერი არ მოსულა. სავარაუდოდ, თქვენ გაემგზავრეთ, თორემ ორიოდე სიტყვას მომწერდით... რომანი გამომცემლობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო. მე გიგონებთ თქვენ და თქვენს რჩევებს, რომლებმაც ჩემი რომანი გადაარჩინა. თავად ნახავთ, ტექსტი როგორი ძლიერი და მიმზიდველი გახდა. რომანი 1928 წლის გაზაფხულზე გამოვა. ჩემი სანუკვარი სურვილია, რომ წიგნი მანამ წაიკითხოთ, ვიდრე გამოიცემა. გაზაფხულამდე, ვფიქრობ, გამოძებნით თავისუფალ დროს მანუსკრიპტის კიდევ ერთხელ თვალის გადასავლელად. გულწრფელად ვაღიარებ, ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება, თუ რომანი თქვენი წინასიტყვაობით დაიბეჭდება და ისე მოველინება სამყაროს... თბილისიდან ცნობა მივიღე (ტელეგრაფით), რომ ლიტერატურული საქართველო თბილისში უსაზღვრო აღფრთოვანებითა და სიხარულით გელოდებათ.

12.10.1927.

საყვარელო ბატონო ცვაიგ,

მე მალე უნდა გავემგზავრო. ამ დღეებში თბილისიდან მივიღე ცნობა. 15-ში, შაბათს, საქართველოში ვბრუნდები. დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენ თებერვალში თბილისში გიხილავთ.

სტილისტური დახვეწა ჩემი რომანის თარგმანისა გამომცემლობამ საკუთარ თავზე აიღო. ჩემი სანუკვარი სურვილია, რომ მანუსკრიპტს გამოქვეყნებამდე კიდევ ერთხელ გადაავლოთ თვალი. ჩემთვის ძალიან საინტერესოა – (ვფიქრობ, თქვენთვისაც) – იმის ცოდნა, რამდენად გავითვალისწინე თქვენი რჩევები ნაწარმოების გადამუშავებისას. სწორედ ამ იდეით მივწერე ბატონ კორნელიუს ბერგმანს.

აქ, ბერლინში, არც ერთ მწერალს არ დავკავშირებოვარ. ალბათ – განზრახ. რადგან აქ ბატონობს მხოლოდ ცივი ეგოიზმი, თვით დახმარებაჲ შეიძლება ეგოისტური იყოს – (წარმოიდგინეთ, ერთი ადამიანი მეზობელ პალატაში მყოფ ავადმყოფს ეხმარება იმით, რომ სხვას ავადებს საავადმყოფოში მის მოვლას, რადგან ავადმყოფის ტკივილები მისთვის აუტანელია)... თქვენ კი მე შემოქმედებითად დამეხმარეთ: ესაა სწორედ ნამდვილი ადამიანური სიყვარული – „ადამიანური“ არა ბანალური „ჰუმანიზმის“ გაგებით. სამყაროს გულში რაღაც კოსმიური, საშიში,

ცივი, ჯოჯოხეთური ხდება – და ამ დროში სამყაროსთვის ეს შემოქმედებითი სიყვარული ძალზე საჭიროა.

სოფლად დედას ბევრს ვუამბობ თქვენზე. მას არ ესმის „ლიტერატურა“, მაგრამ იცის ზღაპრები, მასში ჯერ კიდევ არ ჩამკვდარა მიწის სული. დედას შეუძლია, მე მჯერა ამის, თქვენდამი გულითადი მადლიერების გამოსახატავად სიტყვების მოძებნა...

იცოცხლეთ კარგად! „izozchleth¹ კარგად“ (იცოცხლეთ კარგად!)? მომავალ შეხვედრამდე!

¹ „Sizozchleth= სიცოცხლესა და „Zezchli“=ცეცხლს ქართულ ენაში ერთი და იგივე ძირი აქვს. ეს რომ ჰერაკლიტე ეფესოელს სცოდნოდა!

თქვენი ერთგული

გრიგოლ რობაქიძე

გერმანულიდან თარგმნა

ნათია ფურცელაძე